

16/10/2025



MES 0 25 0001353952

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 30.09.2025

სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი

სხდომის დასრულების დრო: 17:00 საათი

სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი

საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27² მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
3. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
5. **თეა მჭედლური** - შპს „უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;

7. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
10. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდოლოგია დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
11. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
12. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი
13. **ბონდო გასვიანი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ - ს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები:

1. **ჯილდა ჭეიშვილი** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის საბჭოს წევრი;
2. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
3. **მაია ბიწვინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
4. **ეკა ბოჭორიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების დეპარტამენტის სახელმწიფო პროგრამების რევიზიის სამმართველოს უფროსი;
5. **ნინო გაგუა** - შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტი;
6. **ეკა ევალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
7. **კახაბერ ვანიშვილი** - შპს მედ-დიაგნოსტიკის სამედიცინო ცენტრის დირექტორი;
8. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
9. **დავით კობეშაშვილი** - შპს იმედის კლინიკის დირექტორი;
10. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
11. **ნინო შარიქაძე** - შპს ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.
12. **ზვიად კირტავა** - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პროფესორი;

13. **კახაბერ ჩიხრაძე** - შპს „ამერიკული ჰოსპიტლის“ თბილისის სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **სოფიკო ქურასბედიანი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ხათუნა თოდაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო თევზაძე - დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორის მოადგილე;

ნინო ზარდიაშვილი - დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დორექტორის მოადგილე;

მაია ოკუჯავა - მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო კილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ლიზა კუბლაშვილი - პროგრამის უფროსი სპეციალისტი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტი

მეუფე იაკობი - ბოდბელი მთავარეპისკოპოსი (დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი);

ირაკლი ბრაჭული - რექტორი;

არჩილ ყანჩაველი - პრორექტორი;

თამაზ ვაჩაძე - კანცლერი-ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

გიორგი ბასილაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;

ირინე დარჩია - დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მრჩეველი საერთაშორისო პროგრამების განვითარების მიმართულებით;

ანასტასია ზაქარიაძე - ექსპერტი;

მარი სილაგაძე - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი კოორდინატორი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია ბიწაძე - ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მიხეილ გიორგაძე - განათლების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

აკრედიტაციის ექსპერტები

I საკითხი:

- ა) ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე);
- ბ) თინათინ გოგნაძე (წევრი);
- გ) ნინო ჯოლია (წევრი, სტუდენტი).

II საკითხი

- ა) სეიედ პურია მადანი კოჩაკი (Seyed Pooria Madani Kochak) (თავმჯდომარე);
- ბ) გიორგი იაშვილი (წევრი);
- გ) მარინა რაზმაძე (წევრი);
- დ) მიხეილ ბიჭია (წევრი);
- ე) გიორგი მხეიძე (წევრი, სტუდენტი).

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა ქეთევან აფთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის (Northern Kentucky University) "კიბერ-უსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შემდეგი შუამდგომლობა:

ცენტრში შემოსულია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის №1127181, 12/09/2025 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ კლასტერით წარმოდგენილ ქვემოთ ჩამოთვლილ 8 (რვა) საგანმანათლებლო პროგრამას, 2025 წლის 08 აგვისტოს მიენიჭა აკრედიტაცია:

1. “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (გადაწყვეტილების № 957966);
2. “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით)” ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (გადაწყვეტილების №957968);
3. “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (გადაწყვეტილების №957969);
4. "განათლების მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (გადაწყვეტილების № 957970);
5. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) (გადაწყვეტილების № 957973);
6. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები) (გადაწყვეტილების № 957975);
7. „საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა) (გადაწყვეტილების № 957976);
8. სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (გადაწყვეტილების № 957977).

ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში და ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №954725 სხდომის ოქმში დაფიქსირდა რიგი ტექნიკური უზუსტობები, რაზეც დაწესებულება ითხოვს ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.

საბჭომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დამატებით განეხილა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის (Northern Kentucky University) "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლების” საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს № 957966 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
4. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და სპეციალური მასწავლებლის არჩევითი მოდულით)” ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს № 957968 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;

5. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “განათლების ადმინისტრირების” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს № 957969 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
6. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957970 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
7. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები) აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957973 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
8. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ინგლისური ენა, გერმანული ენა, რუსული ენა, ქართული, როგორც მეორე ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები) აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957975 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
9. „სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, ბიოლოგია, ფიზიკა)" აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957976 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
10. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №957977 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა;
11. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 08 აგვისტოს №954725 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომების გასწორების საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა;

საფეხური: ერთსაფეხურიანი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0912 - მედიცინა;

სწავლების ენა: ინგლისური;

კრედიტების რაოდენობა: 360;

სტატუსი: აკრედიტებული.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადი

✓ კი

თვითაცხადი განაცხადა მოწვეულმა საბჭოს წევრმა ეკე ეკალაძემ. საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 18 და 19 აგვისტოს. ვიზიტის მიზანი იყო შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის დადგენა აკრედიტაციის სტანდარტებთან "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის გათვალისწინებით. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული ჰქონდა 400 სტუდენტი, ხოლო დაწესებულება მოცემული წარმოების ფარგლებში ითხოვს დამატებით 150 ადგილს. აღნიშნული არ ცვლის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობას, ვინაიდან ხდება რესურსების გადანაწილება ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამების კონტინგენტის ფარგლებში. თავად "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი პროგრამა არის უნიკალური ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, ვინაიდან მას გამოარჩევს ბევრი საუკეთესო პრაქტიკა. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძალიან ძლიერი პარტნიორია ემორის სამედიცინო სკოლა, რომელიც მუდმივად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. თავად ამერიკული პროგრამის გამორჩეული მახასიათებლებია, პირველ რიგში, სწორად განსაზღვრული პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რომელიც გულისხმობს მაღალ ბარიერს როგორც ინგლისურ ენაში, ისე დანარჩენ არჩევით და ძირითად საგნებში. ეს იძლევა საშუალებას, რომ პროგრამაზე მიიღონ მუდმივად განსაკუთრებულად ძლიერი აპლიკანტები. პროგრამას უმაღლეს სამედიცინო განათლებაში გამოარჩევს ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა. თავად პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა აგებულია აკრედიტაციის სტანდარტების, დარგობრივი მახასიათებლისა და საერთაშორისო ექსპერტების რეკომინდაციების გათვალისწინებით. განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანია პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსები. ასევე, აღსანიშნავია დაწესებულების მხრიდან შეთავაზებული კლინიკური ტრენინგის კურსი, რომელიც სრულად დაფინანსებულია. კურსდამთავრებულების 27% სწავლას აგრძელებს ამერიკის სარეზიდენტო პროგრამებში. ექსპერტის თქმით, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალური და ადამიანური რესურსი იმისათვის რომ პროგრამა მოემსახუროს 400 სტუდენტის 550-ის ნაცვლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაღლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. ის დაინტერესდა, რატომ არ აღნიშნეს ექსპერტებმა საუკეთესო პრაქტიკაში ყველა ის საკითხი, რაზეც ზეპირ მოსმენაზე გაამახვილეს ყურადღება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა პროგრამის ყველა დადებითი მხარე განიხილეს როგორც აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების საკითხებად და ამიტომ არ გამოყვეს ცალკე, საუკეთესო პრაქტიკის ნაწილად. აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ჯილდა ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მიმდინარეობს APA-ის პილოტური დანერგვის პროცესი, რომელიც პროგრამაშიც საკმაოდ კარგად არის აღწერილი. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ როგორც დოკუმენტაციიდან ირკვევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ემსახურება 18 აფილირებული დაწესებულება. თუმცა არ არის მითითება იმასთან დაკავშირებით, ჯამურად თუ რამდენ სტუდენტს ემსახურება აღნიშნული რაოდენობის აფილირებული დაწესებულება. ასევე, მან მეორე კითხვით მიმართა დაწესებულებას და აღნიშნა, რომ მას ძალიან აინტერესებს დაწესებულების გამოცდილება OSCE - ის, როგორც სწავლების მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ადრე OSCE განიხილებოდა როგორც გამოცდების ერთ-ერთი მეთოდი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ პირველ კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ექსპერტებმა შეისწავლეს როგორც ადამიანური, ისე მატერიალური რესურსი. განხორციელდა შეთანხმებულ კლინიკურ ბაზებზე ვიზიტი და ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ დათვალიერება. ეს იყო ხანგრძლივი საუბრები კლინიკური სასწავლო კურსებისა და მოდულების განმახორციელებლებთან. გარდა ამისა გასაუბრება ჩაუტარდათ მხარდამჭერ პერსონალსაც, რომლებიც მრავლად იყვნენ წარმოდგენილები. ასევე, ექსპერტებმა ნახეს ონლაინ რესურსებიც, თუ როგორ ნაწილდებიან აღნიშნული პროგრამის სტუდენტები დეპარტამენტებში და როგორ არიან ჩართულნი რეალურად არა მხოლოდ სწავლებაში, არამედ სამედიცინო სერვისების მიწოდებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ OSCE არის ობიექტურად ციფრული კლინიკური გამოცდის ფორმატი, მაგრამ დაწესებულებას OSCE სემესტრის ბოლოს არა მარტო გამოცდის ფორმატით აქვს დანერგილი, არამედ სემესტრის შუაში არის OSCE განსაზღვრულია პრაქტიკის ვარიანტად. ტარდება OSCE-ის ტიპის შეფასება, სტუდენტები გადიან ყველა იმ დეტალს, რომელიც საჭიროა, რაც მთავარია აქვთ პაციენტებთან შეხება, და ამ პრაქტიკის შემდეგ დეტალურად იღებენ უკუკავშირს ინსტრუქტორებისგან, რომლებიც მიუთითებენ მათ დაშვებულ ხარვეზებსა თუ შეცდომებზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოასწორონ ხარვეზები ფინალურ გამოცდამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აფილირებული კლინიკები დაწესებულებისთვის რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კლინიკურ სწავლებას უნივერსიტეტი ძირითადად საკუთარ კლინიკებში ახორციელებს. დაწესებულებას ამჟამად აქვს 3 დიდი კლინიკა. მათ შორის, პირველი სამედიცინო კლინიკა გაშლილი არის 218 საწოლზე. ინგოროყვას და სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკა გაშლილია 357 საწოლზე. ხოლო ჟვანიას პედიატრიული კლინიკა გაშლილია 96 საწოლზე. გარდა ამისა, სამივე კლინიკას აქვს ამბოლატორიული სერვისები. გარდა ამისა, წლის ბოლომდე იხსნება მენტალური ჯანმრთელობის კლინიკაც, რომელიც გაშლილი იქნება 120 საწოლზე, სადაც ასევე იქნება დიდი ლაბორატორიული და ამბოლატორიული სივრცეები. 2 წლის თავზე კი გაიხსნება დიდი მულტიფუნქციური ცენტრი, სადაც იქნება პირველადი ჯანდაცვის ამბულატორია. ამიტომ ის კლინიკები, რომლებიც დღეს ფუნქციონირებს და დამატებით წლის ბოლომდე გახსნილი მენტალური ჯანმრთელობის კლინიკა არის ის ძირითადი საფუძველი და ის კლინიკური ბაზა, რომელიც ემსახურება ამერიკული პროგრამის სტუდენტებს.

აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ზვიად კირტავამ დამატებით ხაზი გაუსვა პროგრამის უნიკალურობას და აღნიშნა, რომ თვითონაც იყო მომსწრე როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა პროგრამა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:10

დასრულების დრო: 15:30

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 550 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადში (ცენტრში რეგისტრაციის - №943388 და №944904) ასახული ინფორმაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹ მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁹ მუხლის მე - 3 და მე - 4 პუნქტების და 27¹⁰ მუხლის მე - 11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს "დიპლომირებული მედიკოსის" ამერიკულ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 550 - ით.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის (Northern Kentucky University) "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კიბერუსაფრთხოება;

საფეხური: მაგისტრატურა;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტი: მეცნიერების მაგისტრი კიბერუსაფრთხოებაში; ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი: მეცნიერების მაგისტრი კიბერუსაფრთხოებაში;

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;

სწავლების ენა: ინგლისური;

კრედიტების რაოდენობა: 120;

სტატუსი: აკრედიტებული;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს — დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები, ექსპერტები და თარჯიმანი. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება. ცენტრმა უზრუნველყო თარგმანის განხორციელება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სეიედ პურიამა მადანი კოჩაკმა (Seyed Pooria Madani Kochak) აღნიშნა, რომ „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივმა საგანმანათლებლო პროგრამამ მთლიანობაში დატოვა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება. პროგრამა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან და საჭიროებებთან. პროგრამა არის ინგლისურენოვანი, ის სრულ თანხვედრაშია თანამედროვე გამოწვევებთან და სრულად აკმაყოფილებს შრომით ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 20 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ექსპერტთა გუნდი გაეცნო უნივერსიტეტის ცალკეულ შესაძლებლობებს, თუ რისი გამოყენება შეეძლო უნივერსიტეტს მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები შეხვდნენ როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ისე აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს. ასევე, მოხდა სასწავლო აუდიტორიების დათვალიერება, სადაც, უშუალოდ, ტარდება ლექცია/სემინარები. ასევე, აღსანიშნავია, რომ პროგრამა არის ჰიბრიდული და მოიცავს როგორც ადგილზე, ისე ონლაინ სწავლების შესაძლებლობებსაც. ფიზიკური და ციფრული ინფრასტრუქტურა სრულ თანხვედრაშია პროგრამის მოთხოვნებთან. სალექციო ოთახები ტექნოლოგიურად სათანადოდ არის აღჭურვილი და ასევე, სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ როგორც ადგილობრივ, ისე პარტნიორი აკადემიური დაწესებულების რესურსებთან. „კიბერუსაფრთხოების“ სამაგისტრო პროგრამის ერთობლიობა ასევე, იძლევა შესაძლებლობას მოწვეული ლექტორების მონაწილეობას სალექციო კურსებში. პროგრამის ყველა ასპექტი თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ის აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნას. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებშიც ზოგადად ძირითადი ყურადღება გამახვილდა იმ სფეროებზე, სადაც გამოიკვეთა განსავითარებელი მხარეები. პირველი ეს არის შინაარსობრივი გადაფარვები სხვადასხვა კურსებს შორის, რომელიც ექსპერტთა აზრით, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. მეორე საკითხი ეხება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას, ექსპერტის თქმით მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო ნაშრომი შესრულდეს ინდივიდუალურად იმისათვის, რომ შეძენილი ცოდნა და უნარები იყოს რეალისტური, გაზომვადი და შეფასებადი ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებით, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად ჩაატარონ კვლევა და მიიღონ სათანადო შეფასება. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება ადამიანურ რესურსს. კერძოდ, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს უფრო მეტი აფილირებული პერსონალის ჩართვა პროგრამის განხორციელებაში. ასევე, ექსპერტის თქმით, ლექტორები, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში სტუდენტებს უწევენ ხელმძღვანელობას ბოლო

სამეცნიერო აქტივობა საკმაოდ დიდი ხნის წინ უდასტურდებოდათ. ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ პროფესორები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას კონფერენციებში და სხვა სამეცნიერო აქტივობებში. ექსპერტის თქმით რეკომენდაციების ბოლო საკითხი ეხება აკადემიურ კეთილსინდისიერებას. მისი თქმით, რა თქმა უნდა უნივერსიტეტს აქვს ცალკე პოლიტიკის დოკუმენტი და არის ცალკეული წესები აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, თუმცა ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანია დაიხვეწოს პლაგიატის გამოვლენის სისტემა და განისაზღვროს მსგავსების დასაშვები პროცენტული ზღვარი, დაზუსტდეს დაშვებული ზღვრის გადაცდენის შემთხვევაში ნაშრომის კორექტირების და იმავე სემესტრში წარდგენის შესაძლებლობა და ვადები, ასევე რა შემთხვევაში არის ნებადართული მოდიფიცირებული ნაშრომის მომდევნო სემესტრში წარდგენა. გარდა ამისა, განსაზღვრული უნდა იყოს მკაფიო პროცედურები იმისათვის, რომ სტუდენტებმა თავად გადაამოწმონ ნაშრომი პლაგიატზე, დადგენილი უნდა იყოს გასაჩივრების მექანიზმები და პლაგიატის თავიდან აცილების რესურსები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმრავლესობა დაწესებულებისთვის არ იყო მოულოდნელი, რადგან ისინი ექსპერტთა გუნდმა დაწესებულებას გააცნო ვიზიტის ბოლოს და ზოგადად მათი რეკომენდაციები ემთხვევა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებაში ასახულ ძირითად ხედვას. დაწესებულება სავსებით ეთანხმება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს. ასევე, ინსტიტუცია ეთანხმება სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ რეკომენდაციასაც. კვლევებთან დაკავშირებითაც უმჯობესია დაწესებულებამ უფრო აქტიურად გამოიყენოს პარტნიორი უნივერსიტეტის ლექტორები. თუმცა არის რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი, რომელსაც დაწესებულება ვერ იზიარებს. პირველი რეკომენდაცია ეხება 2 სწავლის შედეგის გაერთიანებას. ექსპერტები თვლიან, რომ მათი გაერთიანება უმჯობესია საერთო ორიენტაციისა და ლოგიკის საფუძველზე, ვინაიდან აღნიშნული გაერთიანება ხელს შეუწყობს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და გააძლიერებს პროგრამის დიზაინის ეფექტურობას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქ ლაპარაკია გაუმჯობესებაზე, რაც, ბუნებრივია, დაუსრულებელი პროცესია. რეკომენდაციაში არ ჩანს, რომ არსებული სწავლის შედეგებით რომელიმე შეფასების კრიტერიუმი ირღვეოდეს. მაშასადამე, ეს რჩევის სახით უნდა იყოს ფორმულირებული და არა რეკომენდაციის. თუმცა რჩევის სახითაც არ უნდა იქნეს წარმოდგენილი, რადგან მეათე რეკომენდაცია სწავლის შედეგი ეხება კვლევისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ეთიკური სტანდარტის ფარგლებში, ხოლო მეცამეტე სწავლის შედეგი ეხება ინდივიდუალურ, გუნდურ, აკადემიურ და პროფესიულ განათლებას. ანუ, ეს ორი სწავლის შედეგი თავისი არსით სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება. ასევე, დაწესებულების მოსაზრებით სწავლის მეთოდების გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რეკომენდაციაც უფრო რჩევის სახით უნდა იყოს ფორმულირებული, რადგან გამრავალფეროვნება არის უფრო რჩევების კატეგორიის საკითხი ვიდრე რეკომენდაციის. ასევე, ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად უნდა გაგრძელდეს ინფორმაციის სისტემატური გავრცელება შეფასების კრიტერიუმების შესახებ სილაბუსებისა და საორიენტაციო შეხვედრების მეშვეობით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნულ რეკომენდაციაშიც ჩანს, რომ ინფორმაციის გავრცელება ხდება და არსებობს საორიენტაციო შეხვედრები, უბრალოდ, არის ფორმულირება, რომ გაგრძელდეს ინფორმაციის სისტემური გავრცელება, რაც დაწესებულების აზრით, უფრო რჩევაა ვიდრე რეკომენდაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ, პროგრამის აღწერილობაში მეორე დანართის სახით წარმოდგენილია სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციას ჰქონდა წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტი, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების მეთოდოლოგია. მასში დეტალურად არის წარმოდგენილი თუ როგორ ხდება მსგავსი მონაცემების გამოყენება და დამუშავება. ასევე, წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, რომელიც არის ქართული და ამერიკული მხარის მიერ შეფასებული. აღნიშნულ დოკუმენტებში დეტალურად არის მოცემული სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით კურსდამთავრებულების მიღწევები არის სრულ შესაბამისობაში სამიზნე ნიშნულებთან. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებს მსგავსი პროცედურები, რომლის შესაბამისადაც ხდება თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა და სწავლის შედეგების შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისთვის. აღნიშნული პროცედურა დეტალურად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშში. მეოცე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სააკრედიტაციო დოკუმენტებში მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების გუნდის მიერ მომზადებული დოკუმენტი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია. მათში დეტალურად არის მოცემული თუ როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აქ რეალურად საუბარია პერიფრაზირებაზე და დაწესებულება სრულიად ეთანხმება რეკომენდაციას. დაწესებულება დააკორექტირებს მეხუთე სწავლის შედეგს და ასახავს შესაბამისი სახით. დაწესებულება არ ეთანხმება გადაფარვასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას. მისი თქმით, სასწავლო კურსში „კიბერსამართალი და ეთიკა“ მეხუთე თემად მოცემულია შემდეგი საკითხები: „პერსონალური მონაცემების დაცვა – პრობლემა, არსებული კანონმდებლობა, ხარვეზები, შემოთავაზებული 6 გადაწყვეტილებებით“, სადაც სტუდენტები ეცნობიან მონაცემთა დაცვის საბაზისო კონცეფციებს. სასწავლო კურსის შინაარსში აღნიშნული საკითხები მოცემულია მხოლოდ შესავალ დონეზე. არ ხდება შესაბამისი თემების ღრმა ანალიზი და სასწავლო კურსი დეტალურად არ განიხილავს GDPR-ს ან მასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. სწორედ ამიტომ ევროკავშირის ზოგადი რეგულაცია მონაცემთა დაცვის თაობაზე (GDPR) მოცემულია არა ძირითადი ლიტერატურის, არამედ დამხმარე ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის სექციაში. სასწავლო კურსი „პერსონალური მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა“ არჩევითი საგანია, რომელიც, ფაქტობრივად, შეესაბამება სასერტიფიკატო პროგრამას „პერსონალური მონაცემების დაცვის მენეჯერი“. სასწავლო კურსი მოიცავს საქართველოს კანონს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (2024), ასევე ENISA-სა და EDPB-ის სახელმძღვანელოებს და პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის შესაბამის გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება ძირითად სასწავლო კურსს „მონაცემთა კონფიდენციალურობა“ (Data Privacy), ის ძირითადად ორიენტირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედ კანონმდებლობაზე. ასევე, ის დამატებით აანალიზებს ევროპულ და ამერიკულ მონაცემთა დაცვის ჩარჩოებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს. შესაბამისად, კურსები შინაარსითა და მოცულობით ერთმანეთის შემავსებელია და მათ შორის არსებითი გადაფარვა არ არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაქსიმ იავიჩმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა კონკრეტულად რა კრიტერიუმით უნდა გაერთიანდეს პროგრამის მეათე და მეცამეტე სწავლის შედეგი. ასევე, საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, ის დაინტერესდა რა საკითხებს მოიცავდნენ ის სასწავლო კურსები, რომელთან მიმართებითაც ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ხდება შინაარსობრივი გადაფარვები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქმე ეხება მეათე და მეცამეტე სწავლის შედეგს. მეათე სწავლის შედეგში განსაზღვრულია, რომ სტუდენტი იყენებს და ავითარებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და კვლევებს, როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფურად აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპით. მეცამეტე სწავლის შედეგში კი განსაზღვრულია რომ სტუდენტი ახდენს გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების საჭიროებებს და გეგმავს თავის აკადემიურ განვითარებას. ამ საკითხზე მსჯელობისას ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ არსებობდა შინაარსობრივი კვეთა მეათე და მეცამეტე სწავლის შედეგებს შორის, რაც გამოიხატება საერთო კონცეპტუალურ ორიენტაციასა და ლოგიკაში. საბოლოო ჯამში აღნიშნული სწავლის შედეგების გაერთიანებით უფრო უკეთესი და თანმიმდევრული იქნება სასწავლო გეგმა. ასევე ექსპერტის თქმით, დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან წამოწეული იყო შეფასების მექანიზმის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტები იზიარებენ დაწესებულების მოსაზრებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკულ ნაწილში სტუდენტები ეცნობიან მონაცემების კონფიდენციალურობას, პიროვნების კონცეპტუალურ და ფილოსოფიურ საფუძვლებს, შეისწავლიან კონფიდენციალურობის პოლიტიკას და მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს. ასევე, ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ კონსტრუქციებსა და გამოწვევებს, ალგორითმებს, მოდელებს, პირადულობის საფრთხეებს და ა.შ. ხოლო არჩევითი კურსი არის სრულიად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სასერთიფიკატო კურსი, რომელიც ქართულ რეალობაზეა მორგებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონკრეტული თემა შესაბამისი სწავლების მექანიზმით უნდა იყოს წარმოდგენილი და მისი აზრით, ინსტრუქტორებს შეუძლიათ განესაზღვრონ თემის სიღრმეები და ასპექტები. მისი მოსაზრებით, მართებული იქნება წინასწარ იყოს განსაზღვრული თუ რა დოზითა და სიღრმეებით იქნება გადაფარული გარკვეული საკითხები და სილაბუსში დეტალურად გაიწეროს ეს ნაწილი.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, მან პროფესიული პრაქტიკის სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სილაბუსში 80 საათია გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტისთვის. ეს პრაქტიკები ფასდება 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც 70 ქულის ფარგლებში სტუდენტს აფასებს მასპინძელი ორგანიზაცია, ხოლო დანარჩენი 30 ქულის ფარგლებში აფასებს უნივერსიტეტი. ის დაინტერესდა როგორ აგროვებს სტუდენტი 70 ქულას, შეფასების რუბრიკები უნივერსიტეტს აქვს გაწერილი თუ პრაქტიკისთვის განკუთვნილი შესაბამის ორგანიზაციას. ასევე, ის დაინტერესდა პრეზენტაციის დროს სტუდენტი ჯგუფურად ფასდება თუ ინდივიდუალურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქამდე ჯგუფურად ხდებოდა პრეზენტაციის წარდგენა და შეფასება, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით უნივერსიტეტი მომავალში ინდივიდუალურად შეაფასებს სტუდენტს. რაც შეეხება 70 ქულას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პრაქტიკის ჩამტარებელი ორგანიზაციები აკვირდებიან სტუდენტს, რის შემდეგაც მათგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ქეთევან აფთარაშვილმა ექსპერტებს სთხოვა საბჭოსთვის მიეწოდებინათ მეტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა გახდა მეოთხე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი, რომლის მიხედვითაც, „რეკომენდირებულია თითოეული სასწავლო კურსის მიზნები და შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან და მკაფიოდ დასაბუთდეს აღნიშნული შესაბამისობა“. ასევე, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნაში სტანდარტის 4.2 კომპონენტთან გაცემულია რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომებს ხელმძღვანელობდნენ დოქტორის ხარისხის მქონე კანდიდატები. ასევე, უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს პარტნიორი უნივერსიტეტის პოტენციალი და თანახელმძღვანელებად შერჩეულ იქნეს შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე მოწვეული პერსონალი“, ხოლო ამ

რეკომენდაციის საფუძველზე კომპონენტი შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, ის დაინტერესდა რაიმე ტექნიკური ხარვეზს ხომ არ ჰქონდა ადგილი, თუ რეკომენდაცია იყო იმ სიმძიმის, რომ ნაწილობრივი შესაბამისობა განაპირობა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსების მიზნებისა და სწავლის შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას გამომდინარეობდა სწავლის მეთოდებიდან, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში არ იყო მრავალფეროვანი სამაგისტრო საფეხურიდან გამომდინარე და ამ ნაწილში დარგის ექსპერტის მხრიდან იყო ხაზგასმული, რომ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა უნდა ყოფილიყო გამოკვეთილი, ხოლო სწავლის მეთოდების მრავალფეროვნება უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტმა 4.2 სტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ საკითხთან მიმართებით იყო ძალიან ბევრი მსჯელობა. საბოლოო ჯამში ექსპერტებმა მიიჩნიეს, კომპონენტი უნდა შეფასებულიყო, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში“ აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:20

დასრულების დრო: 16:40

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის (Northern Kentucky University) "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 16 ოქტომბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის (Northern Kentucky University) "კიბერუსაფრთხოების" ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 16 ოქტომბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხის განხილვა:

განსახილველი საკითხის ერთგვაროვნებიდან გამომდინარე, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებმა გადაწყვეტეს, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგი საკითხები განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში:

